<u>სასწავლო კურსი: სამაუწყებლო მედია - ტელე (სტაჟირების კრედიტ-კურსი)</u>

კრედიტის მოცულობა: 5 კრედიტი;

სტაჟირების პერიოდი: ერთი თვე

სტუდენტების მაქსიმალური ოდენობა სემესტრის მანძილზე: 20 სტუდენტი

სტუდენტები ნაწილდებიან სამ ჯგუფში/სამ ნაკადად:

1. **17 მარტი -17 აპრილი**
2. **17 აპრილი -17 მაისი**
3. **17 მაისი - 17 ივნისი**

მოთხოვნები და პროცედურები:

1. სტაჟირება ხორციელდება მხოლოდ დამამთავრებელი სემესტრის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებისთვის, ვისაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 180 კრედიტისა.
2. დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტები ავსებენ განაცხადს (დანართი 1);
3. შევსებული განაცხადების მიღება წარმოებს 12 მარტის ჩათვლით მიმართულების სასწავლო დეპარტამენტში; საკონტაქტო პირია - ანა ზაქარაია, ოთახი 206.
4. სტაჟირების კრედიტ-კურსის გასავლელად სავალდებულოა სტუდენტს სასწავლო კურსში „სამაუწყებლო მედია - ტელე (1) მიღებული ჰქონდეს არანაკლებ 85 ქულისა.
5. განაცხადში მითითებულ შეფასებებს გადაამოწმებს კომისია.
6. მსურველების დიდი რაოდენობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ მათ, ვისაც აქვს უკეთესი აკადემიური მოსწრება სასწავლო კურსში „სამაუწყებლო მედია - ტელე (1);
7. სტაჟირების კრედიტ-კურსზე ჩარიცხვის გადაწყვეტილებას იღებს კომისია, რომელმაც, საჭიროების შემთხვევაში (ასევე, მსურველების დიდი რაოდენობის დროს), შესაძლოა დანიშნოს გადატებითი გასაუბრება.
8. სტაჟირების კრედიტ-კურსში კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. მაშინაც კი, თუ დამსაქმებლის გადაწყვეტილებით, სტაჟირება გაგრძელდა- ამაში სტუდენტი დამატებით კრედიტს აღარ იღებს.
9. კომისია შეიკრიბება 13 მარტს.
10. სტაჟირების კრედიტ-კურსზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას სტუდენტი მიიღებს ელ-ფოსტით 13 მარტის დღის ბოლომდე.
11. ამ კურსზე აკადემიური რეგისტრაციისთვის ბაზა ამოქმედდება 14 მარტს და რეგისტრირებას შეძლებენ ის სტუდენტები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს წინა პროცედურები.
12. სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს სტაჟირების კურსის სილაბუსს.
13. სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტის სტაჟირებასთან არსებული პრობლემების ასევე, სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში.
14. სტაჟირების პერიოდში, სტაჟიორი ორჯერ წარადგენს ანგარიშს. პირველი ანგარიშს წარადგენს სტაჟირებიდან 2 კვირის შემდეგ, მეორეს - სტაჟირების დასრულებისთანავე.